

მოწვევა სატენდერო წინადადებების წარმოდგენაზე

თარიღი:	2018 წლის 15 ივნისი
სესხის Nos. და დასახელება:	სესხის No. 3078-GEO: ურბანული მომსახურებების გაუმჯობესების საინვესტიციო პროგრამა - ტრანში 3 სესხის No. 3238-GEO: ურბანული მომსახურებების გაუმჯობესების საინვესტიციო პროგრამა - ტრანში 4
კონტრაქტის No. და დასახელება:	UWSCG-ICB-GUD-02-2018 გუდაურის წყალარინების და წყალმომარაგების სისტემების მშენებლობა
სატენდერო წინადადებების წარმოდგენის ბოლო ვადა:	2018 წლის 27 ივლისი, 16:00 საათი (ადგილობრივი დროით)

- საქართველომ მიიღო დაფინანსება აზიის განვითარების ბანკისგან (ADB) **ურბანული მომსახურებების საინვესტიციო პროგრამის ტრანში 3 და ტრანში 4-ის** დაფინანსებისათვის. აღნიშნული დაფინანსების ნაწილი გამოყენებული იქნება ზემოხსენებული კონტრაქტის ფარგლებში განსახორციელებელი სამუშაოების დასაფინანსებლად. ტენდერი ღიაა პრეტენდენტებისთვის აზიის განვითარების ბანკის უფლებამოსილი ქვეყნებიდან.

საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია (UWSCG) იწვევს დალუქულ სატენდერო წინადადებებს უფლებამოსილი პრეტენდენტებისაგან, გუდაურის წყალარინების და წყალმომარაგების სისტემების მშენებლობის განსახორციელებლად, კერძოდ, პროექტის ფარგლებში იგეგმება გუდაურის წყალარინების ქსელის მშენებლობა/რეაბილიტაცია, სამხრეთ აღმოსავლეთით მდებარე პატარა დასახლება - სეთურების ჩათვლით. თვითდენადი სისტემის წყალარინების ქსელის მთლიანი სიგრძე დაახლოებით 32 კმ-ია. პროექტი ასევე მოიცავს გუდაურის წყლის მიწოდების გაუმჯობესებას, მათ შორის კოლექტორის მშენებლობას ნავროზაში და ახალი ჭაბურღილების მოწყობას გუდაურის ჩრდილოეთ ტერიტორიაზე.

კონტრაქტის ფარგლებში, კონტრაქტორი ასევე პასუხისმგებელი იქნება დეტალური პროექტის მომზადებაზე, დამკვეთის მიერ მიწოდებული წინასწარი პროექტის საფუძველზე.

- კონტრაქტის ფარგლებში აქტივობების (პროექტირების და მშენებლობის) სავარაუდო ხანგრძლივობაა 600 დღე.
- საერთაშორისო საკონკურსო ტენდერი** წარმართება აზიის განვითარების ბანკის ერთეულებიდან: ერთკონვერტიანი სატენდერო პროცედურების მიხედვით. ტენდერი ღიაა უფლებამოსილი ქვეყნების ყველა პრეტენდენტისათვის, როგორც ეს სატენდერო დოკუმენტაციაშია აღწერილი.
- ტენდერში მონაწილეობა უნდა მიიღონ მხოლოდ იმ უფლებამოსილმა პრეტენდენტებმა რომლებსაც აქვთ შემდეგი ძირითადი კვალიფიკაცია:

- საშუალო წლიური სამშენებლო ბრუნვა: მინიმალური საშუალო წლიური ბრუნვა 9,600,000 აშშ. დოლარი ან მისი ექვივალენტის ოდენობით, რომელიც გამოითვლება დასრულებული ან მიმდინარე კონტრაქტებისათვის მიღებული სერტიფიცირებული გადახდების ჯამით ბოლო სამი (3) წლის განმავლობაში (ერთობლივი საწარმოს შემთხვევაში: თითოეულმა პარტნიორმა უნდა დააკმაყოფილოს მოთხოვნის 25%, ხოლო ერთმა პარტნიორმა მოთხოვნის 40%);
- ფინანსური რესურსები: იმისათვის, რომ პრეტენდენტმა დააკმაყოფილოს ფინანსური რესურსების მოთხოვნა, პრეტენდენტმა უნდა აჩვენოს ლიკვიდური აქტივების, აკრედიტივის ან სხვა ფინანსური რესურსების არსებობა ან მათზე წვდომა 1,600,000 აშშ. დოლარის (ან ექვივალენტის) ოდენობით, (ერთობლივი საწარმოს შემთხვევაში: თითოეულმა პარტნიორმა უნდა დააკმაყოფილოს მოთხოვნის 25%, ხოლო ერთმა პარტნიორმა მოთხოვნის 40%);
- მსგავსი ზომისა და ბუნების კონტრაქტი: სულ მცირე ერთ (1) კონტრაქტში მონაწილეობა, რომელიც წარმატებით ან არსებითად დასრულდა ბოლო ხუთი (5) წლის განმავლობაში და რომელიც შემოთავაზებული სამუშაოების მსგავსია, სადაც პრეტენდენტის მონაწილეობა აჭარბებს 6,300,000 აშშ. დოლარს ან ექვივალენტს. მსგავსება ეფუძნება სამუშაოების ფიზიკურ სიდიდეს, ბუნებას და სირთულეს როგორც ეს აღწერილია სატენდერო დოკუმენტაციის სექცია 6-ში - „დამკვეთის მოთხოვნები“. (ერთობლივი საწარმოს შემთხვევაში: ერთმა პარტნიორმა უნდა დააკმაყოფილოს მოთხოვნა).

5. დამატებითი ინფორმაციის მიღებისა და სატენდერო დოკუმენტების შემოწმებისათვის პრეტენდენტები უნდა დაუკავშირდნენ შემდეგ ადრესატს:

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“
 მარიამ ნაკაშიძე და/ან ია მაზანიშვილი
 ვაჟა-ფშაველას გამზირი 76ბ
 0186 თბილისი, საქართველო
 ტელეფონი: (995 32) 291 90 60
 ფაქსი: (995 32) 22 00 36
 ელექტრონული ფოსტის მისამართი:
m.nakashidze@water.gov.ge; i.mazanishvili@water.gov.ge;

6. სატენდერო დოკუმენტების ინგლისურ ენაზე შესყიდვისათვის უფლებამოსილმა პრეტენდენტებმა:

- უნდა მიიწერონ ზემოხსენებულ მისამართზე UWSCG-ICB-GUD-02-2018: „გუდაურის წყალარინების და წყალმომარაგების სისტემების მშენებლობის“ სატენდერო დოკუმენტების მოთხოვნით;
- უნდა გადაიხადონ არაანაზღაურებადი საფასური 250 ლარის ან 100 აშშ. დოლარის ოდენობით სატენდერო დოკუმენტების UWSCG ოფისში მიღებისათვის 10:00-დან 17:00 საათამდე, ან გადაიხადონ არაანაზღაურებადი საფასური 500 ლარის ან 200 აშშ. დოლარის ოდენობით სატენდერო დოკუმენტების კურიერის საშუალებით მიღებისთვის, ნაღდი ანგარიშსწორებით ან ელექტრონული გადარიცხვით შემდეგ ანგარიშზე:

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“
სს ლიბერთი ბანკი, ცენტრალური ფილიალი
SWIFT CODE: LBRTGE22
GE67LB0113123325230095 GEL
GE40LB0113123325230096 USD
შენიშვნით „მოწვევა სატენდერო პაკეტზე No. UWSCG-ICB-GUD-02-2018“.

- სატენდერო დოკუმენტების მიღება შესაძლებელია UWSCG ოფისში, ნაღდი ფულით ან ელექტრონული გადარიცხვით გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე; ან წერილობითი მოთხოვნისა და გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე, UWSCG კურიერის საშუალებით გაუგზავნის სატენდერო დოკუმენტებს დაინტერესებულ პრეტენდენტებს. UWSCG არ იღებს პასუხისმგებლობას დოკუმენტების დაკარგვასა თუ გვიან მიტანაზე. სატენდერო დოკუმენტები გაცემული იქნება მხოლოდ ბეჭდური ასლის სახით.

7. თქვენი სატენდერო წინადადება მიიტანეთ:

- ზემოხსენებულ მისამართზე სატენდერო წინადადების ჩაბარების ბოლო ვადამდე ან ბოლო დღეს: **2018 წლის 27 ივლისი, 16:00 საათი (ადგილობრივი დროით);**
- სატენდერო დოკუმენტის გარანტიასთან ერთად, როგორც სატენდერო დოკუმენტშია აღწერილი.

სატენდერო წინადადებები გაიხსენება ბოლო ვადის ამოწურვისთანავე, პრეტენდენტების იმ წარმომადგენლების თანდასწრებით, ვინც დასწრებას მოისურვებს.